940

ფასი

 სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 1 იანვარი 1940 წ.

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

შინაარსი

1. ბრძანება № 7566—რაიპედკაბინეტების მუშაობის გარდაქმნის შესახებ 2
2. ბრძანება № 7552—სოფლის სკოლებში მასწავლებლებად გაგზავნილი პედსასწავლებლის III კლასის, სამასწავლებლო ინსტ. II და პედინსტიტუტის IV კურსის სტუდენტთა მიერ სასწავლებლის დამთავრების შესახებ 4
3. პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებს 5
4. ბრძანება № 7601—საწუალო და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსს დამთავრებულთათვის მასწავლებლის წოდების მინიჭების წესის შეცვლის შესახებ 7
5. ბრძანება № 7631—არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ 9
6. ბრძანება № 5824—ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მუშაობის გარდაქმნის შესახებ 12
7. ბრძანება № 7565—თბილისის ანტირელიგიური მუზეუმის გამოკვლევის შედეგების შესახებ 13
8. ბრძანება № 168—კოჯრის ბავშვთა ახალშენის ფინანსიური რევიზიის შედეგების შესახებ 15
9. ბრძანება № 122—კასპის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის გარდაქმნის შესახებ 17

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 7566

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 27 დეკემბერს

რაიპედკაბინეტების მუშაობის გარდაქმნის შესახებ

მოვისმინე რა მოხსენება რაიპედკაბინეტების მიერ სკოლებზე მეთოდური ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ, აღვნიშნავ: რაიპედკაბინეტები უზრუნველყოფილია სათანადო სახსრებით, დამტკიცებულია და დაგზავნილია ადგილებზე დებულებები და ინსტრუქციები მეთოდკაბინეტების, საუბნო-ჯგუფურ გაერთიანებათა და კაბინეტების მუშაობის შესახებ, ადგილებს ეწევა სათანადო ინსტრუქტაჟი, რის საფუძველზედაც ზოგიერთმა რაიონმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა მასწავლებლებზე მეთოდური დახმარების აღმოჩენის მიმართულებით; ტარდება ღია გაკვეთილები, მოხსენებები, სკოლებს ეწევა პრაქტიკული დახმარება საუბნო-ჯგუფურ მეთოდგაერთიანებათა მიერ და სხვა (ქ. ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი და თელავის რაიონი), მაგრამ, მთელ რიგ რაიონებში მეთოდ-კაბინეტების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. კაბინეტები ვერ უწევენ საერთო ხელმძღვანელობას სკოლებს და ახალგაზრდა მასწავლებლებს. ზოგი რაიონის მასწავლებლობა არც კი იცნობს სასკოლო-საგნობრივ კომისიებს, თავიანთ მეთოდგაერთიანებათა და რაიპედკაბინეტების მუშაობის დებულებას (სიღნაღი, ყარაია, ასპინძა). ზოგიერთ რაიონში პედკაბინეტებს ჯერ კიდევ მუშაობა ან სრულიად არ დაუწყიათ, ან ერთი თუ ორი სექციის მუშაობა სწარმოებს (ქ. სტალინირი, სიღნაღი).

პედკაბინეტების მუშაობის გეგმების შედგენაში არ არის დაცული ერთიანი პრინციპი. ზოგ კაბინეტს შედგენილი აქვს წლიური სამუშაო გეგმა (ჯავის, თელავის რაიონები), ზოგს ნახევარი წლის (მახარაძის), ზოგს კი მხოლოდ კვარტალური გეგმა გააჩნია (სიღნაღის რაიონში), არ არის დაცული ხელფასის ნორმები პედკაბინეტის ერთიდაიმავე თანამდებობის პირთათვის (ჯავის რაიპედკაბინეტი). პედკაბინეტის შტატი არ არის გამოყენებული პირდაპირ დანიშნულებისამებრ (მახარაძის რაიონი), სამუშაო საათების რაოდენობა არ არის ერთნაირი ყველა პედკაბინეტში (ზოგან 4 და ზოგან 6 საათია). პედკაბინეტები მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ ბინებში (ჩხარი, სოხუმი). ზოგ რაიონში კი კაბინეტებს სრულიად არ გააჩნიათ ბინა (ასპინძა, ყარაია).

სუსტია რაიპედკაბინეტების ურთიერთკავშირი, არ არის განსაზღვრული კავლიფიკაციის ამაღლების რაიონული ბაზების და რაიპედკაბინეტების ფუნქციები. ჩატარებული მუშაობა არ არის წესიერად აღრიცხული. აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1. თელავის, მახარაძის, ჯავის და სიღნაღის რაიონული პედაგოგიური კაბინეტების გამგეებმა შეადგინონ კაბინეტის მუშაობის წლიური და კვარტალური კალენდარული გეგმები. მუშაობის გეგმების ასლები კაბინეტებმა გადაუგზავნონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს.

2. ყარაიას, ასპინძის, ჩხარის, სოხუმის და სხვა რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა პედკაბინეტები უზრუნველჰყონ სათანადო ბინებით.

3. განათგანყოფილებებმა აღკვეთონ პედ-

კაბინეტის მუშაკთა სხვა დაწესებულებაში სამუშაოდ გამოყენების პრაქტიკა და უზრუნველჰყონ პედკაბინეტებისათვის გათვალისწინებული საშტატო ერთეულების გამოყენება უშუალოდ პედკაბინეტებისათვის.

4. წინადადება მიეცეს განათ. განყოფილებათა გამგეებს—ზუსტად დაიცვან პედკაბინეტის სტრუქტურით გათვალისწინებული თანამდებობანი და მათთვის დამტკიცებული ხელფასის ნორმები.

5. განსახკომის კადრების სამმართველომ ორი დეკადის ვადაში შეამოწმოს პედკაბინეტის შემადგენლობა და თითოეული პედკაბინეტი უზრუნველჰყოს შესაფერისი მუშაკებით.

6. რაიპედკაბინეტებმა უზრუნველჰყონ ჩატარებული მუშაობის სისტემატური აღრიცხვა მათზე მიცემული ფორმის მიხედვით.

7. რაიონებში მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში ერთიანი მეთოდური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით, კვალიფიკაციის ამაღლების სარაიონო ბაზები შეუერთდეს რაიონულ პედაგოგიურ კაბინეტებს და რაიპედკაბინეტს დაეკისროს რაიონის მასწავლებელთა დახელოვნების საქმის ხელმძღვანელობა.

8. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ ოლქის განათ. განყოფილებას, სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებებს—დაუყოვნებლივ უზრუნველჰყონ რაიპედკაბინეტების, ჯგუფურ-მეთოდური გაერთიანებათა და საგნობრივ კომისიების მუშაობის გადაჭრით გაძლიერება-გაფართოება განსახკომის მიერ დამტკიცებულ დებულების საფუძველზე (იხ. კრებული № 15—16, 1938 წლ.).

9. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ცენტრალური რესპუბლიკური კაბინეტები 1940 წლის 1 იანვრიდან რეორგანიზებულ იქნას მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალებად, თანახმად მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დებულებისა.

დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს რესპუბლიკური კაბინეტების რეორგანიზაციის პროექტი წარმოადგინონ განსახკომში დასამტკიცებლად ა/წ 5 იანვრამდე.

10. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს უზრუნველჰყოს პედკაბინეტების საუკეთესო გამოცდილებათა დაგროვება და მათი სხვა კაბინეტებისათვის გაზიარება-მიწოდება, სისტემატურად ჩაატაროს ადგილებზე ლექციები და მოხსნებები და პედკაბინეტებს გაუწიოს სათანადო დახმარება (გეგმების სწორად შედგენა-გაფორმება, კვალიფიციურ ლექტორ-პედაგოგების მივლინება, სათანადო პედაგ. ლიტერატურით უზრუნველყოფა და სხვ.).

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
გ. კიკნაძე.

ბრძანება № 7582

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 29 დეკემბერს

სოფლის სკოლებში მასწავლებლებად გაგზავნილი პედსასწავლებლის III კლასის, სამასწავლებლო ინსტ. II და პედინსტიტუტის IV კურსის სტუდენტების მიერ სასწავლების დამთავრების შესახებ.

იმ მიზნით, რომ პედაგოგიური სასწავლებლების III კლასის მსმენელებს, სამასწავლებლო ინსტიტუტების II კურსისა და პედაგოგიური ინსტიტუტების IV კურსის სტუდენტებს, რომელნიც გაგზავნილნი არიან სოფლის სკოლებში მასწავლებლებად პედაგოგიური პრაქტიკის წესით, საშუალება მიეცეს დაამთავრონ სასწავლების კურსი 1940 წ. და მიიღონ სათანადო ატესტატი და დიპლომი, **ვბრძანებ**:

1. დაევალოს თბილისის რუსული და დუშეთის პედაგოგიური სასწავლებლების, ბორჯომის ოსური, თბილისის აზერბაიჯანული და ბათომის დაუსწრ. პედსასწავ. დირექტორებს საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგებზე და სასწავლო წლის ბოლოს მოაწყონ პედპრაქტიკის წესით სოფლის სკოლებში მასწავლებლად გაგზავნილი პედსასწავლებლის III კურსის მსმენელთა სასწავლო მეცადინეობა, მოამარაგონ ისინი სათანადო ლიტერატურით, ჩაატარებინონ შესაფერი მუშაობა კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, სესიების პერიოდში უზრუნველჰყონ ისინი ბინით, გათბობა-განათებით და საგზაო ხარჯებით, მისცენ დავალებები, სისტემატურად შეამოწმონ აღნიშნული დავალების შესრულება და გაუწიონ მათ ყოველგვარი დახმარება, რომ მათ შესძლონ დაუსწრებელი წესით პედსასწავლებლის კურსის დამთავრება და ატესტატის მიღება.

2. დაევალოს თბილისის, ბათომის, სტალინირის სამასწავლებლო და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტების, ქუთაისის და სოხუმის პედ. ინსტიტუტების დაუსწ. სექტ. საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში და სასწავლო წლის ბოლოს იმ სტუდენტებისათვის, რომელნიც პედპრაქტიკის წესით დანიშნულნი არიან სოფლის სკოლებში მასწავლებლებად, მოაწყონ კონსულტაცია, ჩაატარონ ლაბორატორიული მუშაობა და ლექციები, მისცენ სათანადო დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის, მოამარაგონ შესაფერისი ლიტერატურით და უზრუნველჰყონ მათთვის სისტემატური დახმარება ადგილებზე, სესიებზე უზრუნველჰყონ ბინით, გათბობა-განათებით და სამივლინებო ხარჯებით, რომ ამ სტუდენტებმა შესძლონ დაუსწრებელი სწავლების წესით დაამთავრონ ინსტიტუტის კურსი 1940 წ. და მიიღონ დიპლომი.

3. იმ სტუდენტებსა და პედსასწავლებლების მსმენელებს, რომელნიც პედაგოგიური პრაქტიკის წესით განსახკომის მიერ დანიშნულნი არიან მასწავლებლებად სოფლის სკოლებში, პედაგოგიურ პრაქტიკაში შეფასება მიეცეს სათანადო პედსასწავლებლისა და უმაღლესი სასწავლებლის მიერ იმ დახასიათების მიხედვით, რომელსაც მიიღებენ განათლების განყოფილების გამგისაგან. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს სასწავლო წლის ბოლოს გასცენ ამ სტუდენტებსა და პედსასწავლებლის მსმენელებზე მუშაობის შესახებ დახასიათება.

4. დაევალოს სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების და პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებს, ყოველმხრივ დახმარება გაუწიონ სტუდენტებს და მოსწავლე-პრაქტიკანტებს სესიებზე საკურსო და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების უზრუნველსაყოფად.

5. დაევალოს განსახკომის საშუალო და უმაღლესი სკოლების სამმართველოებს სის-

ტემატური მეთვალყურეობა, დახმარება და კონტროლი გაუწიონ სტაციონალურ და დაუსწრებელ პედაგოგიურ სასწავლებლებს, სამასწავლებლო და პედაგ. ინსტიტუტებს, მუშაობის ამ ამოცანების წესიერად შესრულების საქმეში.

6. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებს ზემოდაღნიშნულ მასწავლებლებს შეუქმნან ყოველგვარი პირობები და გაუწიონ დახმარება დამოუკიდებელ მუშაობისათვის, უზრუნველყონ დაწესებულ ვადებში მათი განთავისუფლება და მივლინება პედსასწავლებლებსა, პედინსტიტუტებსა და სამასწავლებლო ინსტიტუტებში.

7. დაევალოს განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს 1940 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს სათანადო ხარჯები.

საქ. სსრ განათლ. სახ. კომისარი
გ. კიკნაძე.

პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებს

საქართველოს სსრ განსახკომის № 7582 ბრძანების შესაბამისად დაწესდეს, რომ სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და პედსასწავლებლების მსმენელები, რომელნიც პედპრაქტიკის წესით არიან გაგზავნილნი სოფლის სკოლებში მასწავლებლებად, ამთავრებენ კურსს იმ სტაციონალური პედსასწავლებლების, სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების სასწავლო გეგმების მიხედვით, სადაც სწავლობდნენ ისინი პედპრაქტიკაზე გამგზავრებამდე.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის 1939 წლის 14 ოქტომბრის ბრძანების № 348 შესაბამისად:

ა) პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები განთავისუფლდნენ სასემესტრო გამოცდებისაგან იმ დისციპლინებში, რომლებიც მათ უნდა ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდებზე, აგრეთვე სასკოლო ჰიგიენის გამოცდებისაგან.

ბ) პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის დაწესდეს სასემესტრო გამოცდები შემდეგ საგნებში:

1. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე — კრიტიკის ისტორიაში.

2. ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე — ასტრონომიაში.

3. ისტორიულ ფაკულტეტზე — კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნების ისტორიაში.

4. გეოგრაფიულ ფაკულტეტზე — მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკურ გეოგრაფიაში.

5. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე — ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში.

გ) სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტები საკურსო გამოცდებისაგან განთავისუფლდნენ, მათ დაევალოს მხოლოდ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება.

იმ საგნებში, რომლებშიაც სახელმწიფო გამოცდები არ იქნება, ნიშნები დაიწერება სესიებზე მეცადინეობის შედეგების მიხედვით.

6. პადაგოგიური სასწავლებლების გამოსაშვები კლასების მსმენელებს, რომელნიც გაგზავნილი არიან ხანგრძლივ პედაგოგიურ პრაქტიკაზე, დაევალოს ჩააბარონ გამოსაშვები გამოცდები შემდეგ საგნებში:

1. მშობლიურ ენასა და ენის (წერა და ზეპირი) მეთოდიკაში.

2. მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირად)

3. რუსულ ენაში (არარუს. პედსასწ. — ზეპირი) და მეთოდიკაში.

4. ქართულ ენაში — სომხური, ოსური, აზერბაიჯანულ და რუსულ პედსასწავლებლებში (ზეპირი).

5. არითმეტიკის მეთოდიკაში „

6. ისტორიის „

7. სსრკ კონსტიტუციაში „

8. გეოგრაფიის მეთოდიკაში „

9. ბუნებისმეტყველების მეთოდიკაში „

10. პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში (ჰიგიენით) „

11. სიმღერის, ხატვის და ფიზკულტურის მეთოდიკაში.

1. სიმღერის, ხატვის, და ფიზკულტურის მეთ. შეფასება ატესტატში ჩაიწეროს მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც ჩატარდება ამ საგნებში სესიებზე მეცადინეობის დროს.

2. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დანარჩენი საგნების შეფასება ატესტატში ჩაიწერება იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც მიღებული ქონდათ მოსწავლეებს I და II კლასში მიმდინარე აღრიცხვის წესით.

3. „პედაგოგიურ პრაქტიკუმში შეფასება ატესტატებსა და დიპლომებში ჩაიწერება განათლების განყოფილების მიერ მოცემული დახასიათების მიხედვით“ — განსახ. ბრძ. № 7582 მუხ. 3.

4. სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ თუ არა ისინი დ. პ. ი. III კურსზე სწავლის გაგრძელებას, სახელმწიფო გამოცდები სავალდებულოა.

5. სასწავლო-ჩათვლითი სესიებზე სტუდენტები და მოსწავლეები-პრაქტიკანტები მეცადინეობისათვის გაერთიანებულ იქნენ განსაკუთრებულ ჯგუფებში და უზრუნველყოფილ იქნენ კვალიფიციური მასწავლებლებით. ამ ჯგუფებში მეცადინეობა მოწესრიგდეს ამგვარად:

ა) პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის მოეწყოს კვალიფიციური კონსულტაცია და ლექციები საკურსო გამოცდებისათვის ამ საგნებში, რომლებიც შეტანილია სახელმწიფო გამოცდებზე, იმ ანგარიშით, რომ შესაძლებლობის მიხედვით ეს გამოცდები თან მისდევდეს ამ ლექციებსა და კონსულტაციებს.

ბ) პედაგოგიური სასწავლებლების მოსწავლეთათვის მოეწყოს მეცადინეობა იმ საგნებში, რომლებშიაც უნდა ჩააბარონ გამოცდები.

6. დაწესდეს სასწავლო მეცადინეობის და სახელმწიფო გამოცდების ჩატარების შემდეგი გეგმა:

ა) პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის საზამთრო სესიებზე იკითხება შემოკლებული კურსი ლექციებისა იმ საგნებში, რომლებშიც უნდა ჩააბარონ საკურსო გამოცდები, ხდება ჩაბარება ამ საგნებში გამოცდების და აგრეთვე მიმოხილვით ლექციები იმ საგნებში, რომლებშიც იქნება სახელმწიფო გამოცდები.

საზაფხულო სესიებზე იკითხება მიმოხილვითი ლექციები დანარჩენ საგნებში, რომლებიც შეტანილია სახელმწიფო გამოცდებზე, ავრეთვე პედაგოგიკაში, მარქსიზმ-ლენინიზმში და სწარმოებს სახელმწიფო გამოცდები.

ბ) სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის საზამთრო სესიებზე იკითხება საერთო საფაკულტეტო დისციპლინებში, რომლებიც შეტანილია სახელმწიფო გამოცდებზე. საზაფხულო სესიებზე იკითხება მიმოხილვითი ლექციები და ეწყობა კონსულტაცია იმ საგნებში, რომლებშიც დაწესებულია სახელმწიფო გამოცდები.

გ) პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეთათვის საზამთრო სესიებზე სწარმოებს მეცადინეობა იმ საგნებში, რომლებშიც უნდა ჩააბაროს გამოსაშვები გამოცდები, საგაზაფხულო სესიებზე პედსასწავლებლები იბარებენ გამოცდებს არითმეტიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, სიმღერის, ხატვის და ფიზკულტურის მეთოდიკებში.

საზაფხულო სესიაზე სწარმოებს მეცადინეობა და გამოცდები მშობლიურ ენაში, ენის მეთოდიკაში, რუსულ ენაში (არარუსულ პედსასწავლ.), ქართულ ენაში (არაქართულ პედსასწავლებლებში), მშობლიურ ლიტერატურაში, პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში (ჰიგიენითურთ) და სსრკ კონსტიტუციაში.

7. პედპრაქტიკის წესით სოფლის სკოლებში მასწავლებლად გაგზავნილ სტუდენტებს და მოსწავლეებს განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება უნდა მიექცეს და დახმარება გაეწიოს სკოლების გამგეებისა და დირექტორებისაგან, განათლების განყოფილებებისა და მისი ინსპექტორებისაგან და სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების და პედსასწავლებლებისაგან, საღაც ისინი სწავლობდენ.

განყოფილებების და სკოლების მიერ ოვეთოეული სტუდენტი და მოსწავლე პრაქტიკანტი მიმაგრებულ უნდა იქნეს ინსტრუქტაციო პუნქტებზე, პედაგოგიურ სასწავლებლებზე და გამოცდილ მასწავლებლებზე.

სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების და პედსასწავლებლის დირექტორებმა, საიდანაც პრაქტიკანტები მივლინებული არიან სამუშაოდ, მჭიდრო კავშირი იქონიონ მათთან, სისტემატურად შეამოწმონ, როგორ არიან უზრუნველყოფილნი ისინი პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური მითითებებით და მიიღონ საჭირო ზომები მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფისათვის.

უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ძაჯაია

საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე გრ. საჯაია

ბრძანება № 7601

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 31 დეკემბერს

საშუალო და უმაღლეს პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის მასწავლებლის წოდების მინიჭების წესის შეცვლის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს 1939 წ 29 ნოემბრის დადგენილებით „პედაგოგიურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთათვის მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ“ მასწავლებელთა ატესტაციის დამთავრებასთან დაკავშირებით გაუქმებულია საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1935 წ. 10 აპრილის დადგენილებით დაწესებული ერთი წლის პედმუშაობის სავალდებულო სტაჟის გავლა იმ პირთათვის, რომელნიც ამთავრებდნენ საშუალო და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს და არ ჰქონდათ პედმუშაობის სტაჟი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და საკ. სახკომსაბჭოს 1939 წ. 29 ნოემბრის დადგენილებით დაწესებულია, რომ იმ პირებს, რომელნიც პედაგოგიურ სასწავლებლებს, სამასწავლებლო და პედაგოგიურ ინსტიტუტებს დაამთავრებენ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება მიენიჭება სახელმწიფო საგამოცდო კომისიების მიერ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მინიჭებულ წოდების დიპლომში აღნიშვნით.

შესაბამისად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და საკ.

სახკომსაბჭოს აღნიშნული დადგენილებისა

ვბრძანებ:

1. იმ პირთათვის, რომელნიც შემდგომში დაამთავრებენ საშუალო და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს, მასწავლებლის პერსონალური წოდების მინიჭება დაეკისროს სახელმწიფო საგამოცდო კომისიას.

2. წინადადება მიეცეს სახელმწიფო-საგამოცდო კომისიებს მასწავლებლის პერსონალური წოდება მიანიჭოს:

ა) იმ პირებს, რომელნიც პედაგოგიურ სასწავლებლებს დაამთავრებენ—დაწყებითი სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება;

ბ) იმ პირებს ,რომელნიც სამასწავლებლო ინსტიტუტებს დაამთავრებენ — საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის პირველ შვიდ კლასში სწავლების უფლებით.

გ) იმ პირებს, რომელნიც პედაგოგიურ ინსტიტუტებს და სახელმწიფო უნივერსიტეტს დაამთავრებენ — საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება.

3. დაევალოს საშუალო სკოლის სამმართველოს — პედაგოგიურ სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის გასაცემ ატესტატების ტექსტში შეიტანოს სათანადო ცვლილებები და ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად.

4. იმ მასწავლებლებს, რომელნიც საატესტაციო კომისიის დადგენილებით დატოვებულნი არიან პედაგოგიურ სამუშაოზე სათანადო პედაგოგიური სასწავლებლის კურსის დამთავრების პირობით, მასწავლებლის პერსონალური წოდება მიენიჭებათ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, თანახმად ამ ბრძანების §§ 1 და 2-სა.

5. ამ ბრძანების შესაბამისად აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათ. განყოფილებამ, და საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებმა 1940 წ. 1 მარტამდე მთლიანად დაამთავრონ საატესტაციო კომისიების მუშაობა და 1940 წ. 1 აპრილამდე წარმოადგინონ საქართველოს განსახკომში სრული ანგარიშები მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ.

ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას საატესტაციო მასალები (ოქმები, პირადი ბარათები), დამატებითი მასალები იმ პირებზე, რომლებმაც შეასრულეს საატესტაციო კომისიების გადაწყვეტილება, აგრეთვე პირადი ბარათები, დახასიათება და შუამდგომლობა წოდების მინიჭების შესახებ იმ მასწავლებელთათვის, რომლებმაც 1938 და 1939 წ. დაამთავრეს საშუალო, ან უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები და ატესტაციაში არ არიან გატარებულნი.

6. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის განსახკომებს, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებს მოიყვანონ სათანადო წესრიგში და დაიცვან მასწავლებელთა ატესტაციის მასალები.

მასწავლებელთა ატესტაციასთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების განხილვა დაევალოს ჩემს მოადგილეს კადრების დარგში ამხ. ბ. კიზირიას.

7. დაევალოს მასვე უზრუნველყოს მასწავლებელთა ატესტაციის მასალების დამუშავების და გაფორმების დამთავრება 1940 წ. 1 ივლისამდე და ანგარიში მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ წარმოადგინოს საქ. განსახკომის კოლეგიაში განსახილველად და დასამტკიცებლად.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

ბ. ქიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 7631

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წ. 31 დეკემბერს

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ საქ. სსრ ცაკისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 22 ივნისის დადგენილების საფუძველზე ქართული ენის სწავლების პირობები არაქართულ სკოლებში მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული. საგრძნობლად გადიდდა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლისათვის სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საათების რაოდენობა. გადამუშავებულ იქნა პროგრამები და გადაკეთებული სახელმძღვანელო წიგნები, მოეწყო ქართული ენის მასწავლებელთა კადრების გადამზადება, ახლად იქნა დანიშნული მრავალი კვალიფიციური მასწავლებელი, გასულ წელთან შედარებთ გაძლიერდა ადგილებზე კონკრეტული ხელმძღვანელობა და სხვა.

მიუხედავად ჩატარებულ ღონისძიებებისა ქართული ენის სწავლებას არაქართულ სკოლებში, დღემდე მრავალი არსებითი ხასიათის ნაკლი გააჩნია და რიგ სკოლებში კი ეს საქმე გარღვევამდეა მიყვანილი.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მთელმა რიგმა განათლების განყოფილების გამგეებმა ვერ გაიგეს საქ. ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა ქართული ენის საქართველოს სსრ ყველა დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ, სათანადოდ ვერ შეაფასეს ქართული ენის სწავლების მნიშვნელობა არაქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, უგულებელჰყვეს საქ. სსრ განსახკომის 1938 წ. 17 დეკემბრის დადგენილებაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარება და ესოდენ დიდი მნიშვნელობის ამოცანის განხორციელების საკითხი თავიანთი ყურადღების გარეშე დააყენეს.

სახალხო განათლების ზოგი ადგილობრივი ორგანო დაუდევრად და უყურადღებოდ მოეკიდა არაქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა შერჩევის საქმეს. მთელ რიგ არაქართულ სკოლებში (სტალინირის, ჯავის, ხაშურის, ოსური არასრული საშუალო და საშუალო სკოლები, ბორჩალოს და ახალციხის აზერბაიჯანული სკოლები, გაგრის სომხური და რუსული სკოლები ქ. სოხუმის სომხური საშუალო სკოლა და სხვა) ქართულ ენას ასწავლიან არაკვალიფიციური მასწავლებლები. აღნიშნული სკოლებიარ არიან უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობით ქართული ენის სახელმძღვანელოებითა და დიდაქტიკური მასალებით.

მთელ რიგ (ახალქალქის რ., ბავრის, კარტიკაპოს, მარტუნის, ჯავის რაიონის, ოსური საშუალო სკოლა, გაგრის სომხური საშუალო სკოლა, ქ. სოხუმის სომხური საშ. სკოლა, სოხუმის რაიონის მიხაილოვკის საშუალო სკოლა და სხვა) არაქართული სკოლების მასწავლებლები სუსტად ემზადებიან გაკვეთილისათვის და საკმაოდ არ იბრძვიან ქართული ენის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის, არ ატარებენ ვარჯიშს მოსწავლეთა ენის ლექსიკურ მარაგით გამდიდრებისათვის — გრამატიკის საფუძვლების დაუფლებისათვის, რის შედეგად მოსწავლეებს უძნელდებათ

ქართული სიტყვების სწორად გამოთქმა, სიტყვებიდან წინადადებების შედგენა, აზრის სწორად გადმოცემა, არა აქვთ გამომუშავებული კითხვისა და წერის ჩვევები და სხვა. ზოგ სკოლაში (ყარაიას აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებში, ჯავისა და სტალინირის ოსურ სკოლებში, გაგრის სომხურ სკოლებში და სხვა) ადგილი აქვს საპროგრამო მასალის დამუშავების საქმეში დაუშვებელ ჩამორჩენას.

ზოგი განათლების განყოფილების გამგე (ხალციხის — ალიევი, გაგრის — თათულიანი, სოხუმის — კალანდია, ჯავის — ცხოვრებოვი, ბორჩალოს — მამედოვი და სხვა) და სკოლის ხელმძღვანელები არ ახდენენ ქართული ენის მასწავლებელთა მუშაობის შემოწმებას და არ უწევენ მათ მეთოდურ დახმარებას.

უმრავლეს რაიონის პედკაბინეტები (ახალციხის, ახალქალაქის, გაგრის, სოხუმის, ყარაიას, ხაშურის) არავითარ დახმარებას არ უწევენ მასწავლებლებს ქართული ენის სწავლების ხერხების და მეთოდების დაუფლების საქმეში. პედკადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმაც დაუშვებელი დაუდევრობა გამოიჩინა ამ საქმეში, არ ჩაუტარებია დღემდე ქართული ენის მასწავლებელთა შორის საუბრები, კონსულტაციები და არ დახმარებია სკოლებს საუკეთესო მასწავლებელთა და სკოლების გამოცდილებათა გაზიარებისათვის. ვერ უზრუნველჰყო მეთოდური წერილების დამუშავება და გამოშვება არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების სხვადასხვა საკითხებზე და სხვა.

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებისადმი განათლების განყოფილების (გაგრის, სოხუმის, ახალციხის, ხაშურის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ყარაიას) პედკაბინეტებისა, სკოლის დირექტორების (გამგეების) და აფხაზეთის ასსრ, და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომების მხრით დღემდე არსებულ დამოკიდებულებას ვთვლი რა ყოვლად დაუშვებლად, ვბრძანებ:

1. განათლების განყოფილებებმა უახლოეს დროში შეამოწმონ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა, გამოავლინონ ამ სასწავლო დისციპლინის სწავლებაში არსებული ნაკლი და დამახინჯებანი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ დროულად აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

2. გააძლიერონ მეთოდკაბინეტებზე ხელმძღვანელობა, რომ მეთოდკაბინეტები ლექციების, საუბრების, კონსულტაციის სისტემატურად ჩატარების და ღია გაკვეთილების მოწყობით ნამდვილად უწევდნენ დახმარებას არაქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებლებს სწავლების ხერხებისა და მეთოდების დაუფლების საქმეში.

3. კადრების სამმართველომ (ამხ. ბ. კიზირია) შეამოწმოს არაქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაცია არაკვალიფიციური მასწავლებლების შეცვლის მიზნით და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

4. წინადადება მიეცეს პედკადრების დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. ან. მჭედლიძეს), არაქართულ სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა სისტემატური მეთოდური დახმარების უზრუნველსაყოფად უახლოეს ხანში დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებდეს: რაიონებში კვალიფიციურ-მეთოდისტ-ლექტორების მივლინებას, ამ საგანში საუკეთესო მასწავლებელთა და სკოლების გამოცდილებათა გაზიარების საქმის ორგანიზაციას, განათლების განყოფილებებთან ერთად მეთოდ-კაბინეტებზე საუბნო მეთოდურ თათბირების და სკოლის საგნობრივი კომისიებისათვის მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარების გაწევას, კადრების გადამზადების საქმის მოგვარებას, მათი მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფას და სხვა.

5. განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა უზრუნველჰყონ არაქართულ სკოლების ქართული ენის მასწავლებლების საუბნო მეთოდთათბირებში და მეთოდგაერთიანებებში მთლიანი ჩაბმა და

მათი აქტიური მონაწილეობა ამ თათბირების მუშაობაში.

6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და დირექტორებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ, რათა არაქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელი ყოველდღიურად ემზადებოდეს გაკვეთილისათვის, გაკვეთილის შინაარსიანად და ხალისიანად ჩატარებისათვს, იყენებდეს საჭირო თვალსაჩინო და დიდაქტიკურ მასალებს და აღძრავდეს მოსწავლეებში ქართული ენის შესწავლის ინტერესს. მასწავლებელი მოფიქრებულად და სწორად აძლევდეს მოსწავლეებს საშინაო დავალებებს და აწარმოებდეს ამ დავალებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

7. მათვე მიიღონ გადამჭრელი ზომები რათა არაქართულ სკოლების სასკოლო ბიბლიოთეკები შევსებულ იქნას საბავშვო ქართული წიგნებით; შეადგინონ ქართულ ენაში კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია და გააკრან თვალსაჩინო ადგილზე. აწარმოონ წაკითხულ წიგნების გარშემო საუბარი და მოსწავლეებში ჩაატარონ წამახალისებელი ღონისძიებანი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამოსამუშავებლად.

8. ქართული ენის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერითი ვარჯიშს, მიაღწიონ იმას, რომ არაქართულ სკოლებში ტარდებოდეს წერითი მუშაობა (როგორც საკლასო, ისე საშინაო დაწესებული რაოდენობით), წერითი ნამუშევრები სწორდებოდეს გულდასმით და მოსწავლე, მასწავლებლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ასწორებდეს დაშვებულ შეცდომებს.

9. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის მასალები, გამოამჟღავნონ ამ საგანში საუკეთესო სკოლების და მასწავლებლების მიღწეული წარმატებანი.

10. სახელგამმა უზრუნველჰყოს არაქართულ სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების სწორად განაწილება და მათი დროულად დაყვანა სკოლებამდე.

11. არაქართულ სკოლებში ქართულ ენის სწავლების შეუფასებლობისა და ესოდენ დიდი მნიშვნელობის საქმის ხელმძღვანელობის გარეშე მიტოვებისათვის, რის შედეგად მთელ რიგ სკოლებში ჩაშლილია ქართული ენის სწავლება, გამოეცხადოს საყვედური ახალციხის განათლების განყოფილების გამგეს — ამხ. ალიევას.

12. გამოეცხადოს საყვედური ქართული ენის სწავლებისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ბორჩალოს აზერბაიჯანულ საშუალო სკოლის დირექტორს ალიმარდანოვს, ხაშურის რაიონის ღართის ა/სრული საშუალო სკოლის დირექტორს — თედორე ბულატევს, მე-104 რუსული საშუალო სკოლის დირექტორს ი. ჩხენკელს.

13. არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების დაყენებისადმი არა საკმაო ყურადღებისათვის მიეცეთ გაფრთხილება: ბორჩალოს განათლების განყოფილების გამგეს — მეხტი მამედოვს, ახალქალაქის განათლების განყოფილების გამგეს სურენ თათეოსიანს, ჯავის განათლების განყოფილების გამგეს — ცხოვრებოვას.

14. ქართული ენის სწავლების დაყენების საქმეში სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს ყარაიას რუსული საშუალო სკოლის დირექტორს — ამხ. ფედერჩენკოს.

15. განსახკომის კოლეგიის 17 დეკემბრის დადგენილებაში არაქართულ სკოლების ქართული ენის მასწავლებლებზე მეთოდურ-პედაგოგიური დახმარების გასაწევად დასახულ ღონისძიებათა გაუტარებლობისათვის მიეცეთ გაფრთხილება ხაშურის და ახალციხის რაიპედკაბინეტების გამგეებს ამხ. ეპიფანე იმნაძეს და მ. ალბერტიანს.

16. გაგრის რაიონის მთელ რიგ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების ჩაშლისათვის გაგრის განათლების განყოფილების გამგის მოხსნის საკითხი, მისი გამოუცხადებლობის გამო, განხილულ იქნას კოლეგიის მორიგ სხდომაზე.

17. არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმეში სუსტი ხელმძღვანელობის გაწევისათვის ვაფრთხილებ აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის განსახკომს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლ. განყოფილებას და ვავალებ ცალკე რაიონებზე ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელების გზით უზრუნველჰყონ სკოლებში ქართული ენის სწავლების დაყენების გადაჭრით გაუმჯობესება.

ეს ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

ბ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 5824

განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

1939 წლის 3 ოქტომბერი.

ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

გავეცანი რა ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ მუზეუმში ჯერ კიდევ არ არის მისი პროფილის შესაბამისად შესწავლილი და აგებული ექსპოზიცია, დღემდე გამოურკვეველი, მეცნიერულად შეუსწავლელი და დაუდგენელია ხელნაწერები და სხვა ისტორიულად ძვირფასი კოლექციები. მოუწესრიგებელია მუზეუმის ქონების, კოლექციების დაცვა-აღრიცხვა, მათი სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია.

არ სწარმოებს მეცნიერული კვლევითი მუშაობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება არ უპასუხებს მუზეუმის წინაშე მდგარ ამოცანებს. ამ განყოფილების მასალების გამოფენა იდეოლოგიურად გაუმართავია.

სამეცნიერო კვლევით მუშაობაში და ექსპოზიციაზე ჯეროვანი ადგილი დღემდე არა აქვს დათმობილი სოციალისტურ მშენებლობას.

მუზეუმში ადგილი აქვს საფინანსო დისციპლინის დამახინჯებას. ადგილი აქვს აგრეთვე თვითნებობასა და თანამშრომელთა შორის არაკოლეგიურ დამოკიდებულებას (ჭანტურია).

აქედან გამომდინარე **ვბრძანებ:**

1. ზუგდიდის რაი-განათლების განყოფილების გამგემ და მუზეუმის დირექტორმა არა უგვიანეს ა/წ 25 ოქტომბრისა მოახდინონ მუზეუმში დაცული ძვირფასი ნივთების სრული აღწერა და შეფასება.

2. მუზეუმის დირექტორმა ა/წ 15 ოქტომბრამდე შეადგინოს კალენდარული გეგმა და შეუდგეს მუზეუმში დაცულ ექსპონატების კოლექციების და საბუთების სისტემატიზაცია-კატალოგიზაციას და პასპორტიზაციას (ფირფიტაზე ჩახატვით).

3. სისტემატურად ჩაატაროს მუზეუმში დაცულ ყველა კოლექციის დეზინფექცია და დეზინსექცია დაუყოვნებლივ ამოიღოს დაჩრჩილული ექსპონატი.

4. ზუგდიდის რაიგანათლების განყოფილების გამგემ და მუზეუმის დირექტორმა შეადგინონ და წარუდგინონ განსახკომს არაუგვიანეს ა/წ 25 დეკემბრისა მუზეუმის გენერალური საექსპოზიციო გეგმა.

5. მოეწყოს მუზეუმში სათანადო სეიფები ძვირფასი კოლექციების დასაცავად. წესრიგში იქნას მოყვანილი ბიბლიოთეკა და არქივი.

6. მუზეუმის დირექტორმა ა/წ 15 ოქტომბრამდე შეადგინოს სამეცნიერო-კვლევითი (საველე და კამერალური) და პოლიტსაგან-

მანათლებლო მუშაობის გეგმა, რომელიც ა/წ 20 ოქტომბრამდე წარმოუდგინოს განსახკომს დასამტკიცებლად.

7. საგეგმო საფინანსო სამმართველომ გაითვალისწინოს 1940 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს ზუგდიდის მუზეუმის კაპიტალური რემონტისათვის 100.000 მანეთი.

8. საკლუბო და სამუზეუმო-სამხარეთმცოდნეო სამმართველომ მიაკვლინოს ზუგდიდში სპეციალისტი მუზეუმის არსებული გამოფენის რეექსპოზიციისათვის და კატალოგიზაციის საქმეში დასახმარებლად.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსმა ამხ. კობახიძემ ჩაატაროს ზუგდიდის მუზეუმის დაკუმენტალური — საფინანსო რევიზია ა/წ 1-ლ ნოემბრამდე და შედეგებზე მომახსენოს.

10. თვითნებობისა და სამეცნიერო კვლევით დარგში სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან ზუგდიდის მუზეუმის მეცნიერ მუშაკი აკაკი ივანეს-ძე ჭანტურია.

დაევალოს ზუგდიდის რაიგანათლების განყოფილებას გამოიყენოს ის შესაფერ სამუშაოზე.

11. მიეთითოს მუზეუმის დირექტორს ამხანაგ შალვა შენგელის,—რომ მან დროულად არ მიიღო გადამჭრელი ზომები. მუზეუმში შექმნილ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

12. განთავისუფლებულ იქნას მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან ამხ. შენგელი, მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

13. განსახკომის კადრების სამმართველომ შეარჩიოს და დასამტკიცებლად წარმომიდგინოს კანდიდატები ზუგდიდის მუზეუმის დირექტორისა და მეცნიერ მუშაკის თანამდებობებზე. დაევალოს მასვე შეისწავლოს ხსენებული მუზეუმის დანარჩენი კადრები და განამტკიცოს შესაფერი მუშაკებით.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

ბრძანება № 7565

განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

1939 წლის 27 დეკემბერს.

თბილისის ანტირელიგიური მუზეუმის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

გავეცანი რა საქ. ანტირელიგიური მუზეუმის გამოკვლევის მასალებს, **აღვნიშნავ:**

უკანასკნელ ხანებში საქ. ანტირელიგიური მუზეუმის მუშაობაში მომხდარია ნაწილობრივი გარდატეხა:

ა) გამონახულია მუზეუმისათვის შედარებით უკეთესი ბინა;

ბ) შეგროვილია საგამოფენო დოკუმენტალური მასალების ნაწილი;

გ) მოწყობილია 9 მეცნიერული ხასიათის ექსპედიცია-მივლინება;

დ) დაკვეთილი და შეძენილია გამოფენისათვის საჭირო ანტირელიგიური საილუსტრაციო ექსპონატების ნაწილი;

ე) უმოქმედო ეკლესიებიდან შეგროვილია მნიშვნელოვანი რაოდენობის წიგნები, საარქივო და საკულტო მასალა;

ვ) ჩატარებულია ანტირელიგიური ხასიათის ლექციები და სხვ.

მიუხედავად ამისა, მუზეუმის მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) მუზეუმი, მიუხედავად 1937 წლიდან არსებობისა, ჯერ კიდევ ორგანიზაციის პე-

რიოდშია, მას არა აქვს დებულება და არც სამეცნიერო-საკვლევო და საგამოფენო გეგმა.

ბ) ფართოდაა გამოყენებული შეთავსებითი მუშაობა და ადგილი აქვს კადრების დენადობას.

გ) ჯეროვანად არ არის დაყენებული კოლექციების მეცნიერული აღრიცხვა; დღემდე მოუწესრიგებელია ბიბლიოთეკა და არქივი..

დ) სამეცნიერო-საკვლევო ხაზით შეგროვილი მასალა მთლიანად არ არის სისტემაში მოყვანილი და არც აღნუსხულია.

ე) გამოფენისათვის მზადება, საკულტო ობიექტების შესწავლა და საერთოდ ექსპონატების შეგროვება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს;

ვ) მუზეუმში დღემდე არაა ჩამოყალიბებული სამეცნიერო საბჭო.

მუზეუმის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით **ვბრძანებ:**

1. დაევალოს საქ. ანტირელიგიური მუზეუმის დირექტორს ამხ. ალ. ბილანიშვილს შეადგინოს და წარმოადგინოს არა უგვიანეს 1940 წლის 1-ლი აპრილისა მუზეუმის გენერალური საექსპოზიციო გეგმა.

2. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მუზეუმის 1940 წლის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინოს საჭირო ხარჯები მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციისა და მუზეუმის ექსპოზიციის მოსაწყობად. დაევალოს მასვე, გაითვალისწინოს აგრეთვე ბიუჯეტის პროექტში მუზეუმის საშტატო ერთეულების გაფიდება მუშაობის მოცულობასთან შეფარდებით და წარადგინოს სათანადო ორგანოებში დასამტკიცებლად.

3. საკლუბო და სამუზეუმო-სამხარეთმცოდნეო სამმართველომ ანტირელიგიური მუზეუმის დირექტორთან ერთად უზრუნველყოს დეკადის განმავლობაში მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს ჩამოყალიბება და მისი შემადგენლობა წარმოუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად.

4. დაევალოს საქ. ანტირელიგიური მუზეუმის დირექტორს შეადგინოს კალენდარული სამუშაო გეგმა და შეუდგეს მუზეუმში დაცულ ექსპონატების, კოლექციებისა და საბუთების სისტემატიზაცია-კატალოგიზაციას.

5. მუზეუმის დირექტორმა 1940 წ. იანვრის 10-დის შეადგინოს სამეცნიერო-კვლევითი (საველე, კამერალური) და პოლიტსაგანმანათლებლო მთლიანი სამუშაო გეგმა და წარმოადგინოს განსახკომში დასამტკიცებლად.

6. დაევალოს მასვე ერთი თვის განმავლობაში წესრიგში მოიყვანოს ბიბლიოთეკა და არქივი.

7. მუზეუმის მუშაკთა კვალიკაციის ამაღლებისა და გამოფენის მეთოდოლოგიის შესწავლის მიზნით 1940 წლის განმავლობაში მოეწყოს სამი სამეცნიერო მივლინება მოსკოვსა და ლენინგრადში თითო თვის ვადით.

8. დაევალოს განსახკომის საკლუბო სამმართველოს დაამუშაოს და კოლეგიაზე წარმოადგინოს დასამტკიცებლად ანტირელიგიური მუზეუმის დებულების პროექტი.

9. კადრების სამმართველომ საკლუბო სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს ანტირელიგიური მუზეუმის მუშაკთა შემადგენლობა მისი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მიზნით.

10. შეთავსებითი მუშაობისა და კადრების დენადობის აღკვეთის მიზნით დაევალოს მუზეუმის დირექტორს ამხ. ბილანიშვილს, გამოიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს ღონისძიებანი მუზეუმის მუშაკთა ადგილზე დამაგრებისათვის.

11. დაევალოს სასკოლო მშენებლობის სამმართველოს უფროსს ამხ. მელიქაძეს, განაახლოს ანტირელიგიური მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციის პროექტის დამუშავება და წარმოუდგინოს კოლეგიას განსახილველად 1940 წლის იანვრის 20-მდის.

განათლების სახ. კომისარი ზ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

ბრძანება № 168

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 15 იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოჯრის ბავშვთა ახალშენის ფინანსიური რევიზიის შედეგების შესახებ.

გავეცანი რა კოჯრის ბავშვთა ახალშენის დოკუმენტალურ-ფინანსიური რევიზიის მასალებს, აღვნიშნავ, რომ ახალშენის დირექციის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინისა და სამეურნეო ხასიათის უხეშ დარღვევას და ქაოტიურ მდგომარეობას ანგარიშწარმოების დარგში, სახელდობრ:

1. 1939 წლის პირველ იანვრისათვის, მიუხედავად განსახკომის მიერ მიცემული დავალებისა, არაა ჩატარებული მეურნეობის და ქონების ინვენტარიზაცია, არ არის შემოწმებული დებიტორ-კრედიტორთა ანგარიშები დაწესებულებებთან. ამის შედეგად 1938 წლის ბალანსი ფიქტიურია და ის არ ასახავს მეურნეობის ფაქტიურ მდგომარეობას წლის დასასრულისათვის.

2. გახსნილი კრედიტების შესაბამისად არ ხდება თანხების ხარჯვა და ადგილი აქვს თანხების მუხლიდან მუხლში თვითნებურად გადატანას.

3. სრულიად მოუწესრიგებელ მდგომარეობაშია საბუხჰალტრო აღრიცხვა, საფინანსო ანგარიშების განხილვა, საქვეანგარიშო თანხების გაცემა და მიღება სწარმოებს არსებულ წესების დაცვის გარეშე.

საქვეანგარიშო თანხები ავანსტორებს: (ინჟ. ცქიტიშვილს, საწყობის გამგეს ზაკუტოვს, ბეჟუაშვილს და სხვ.) ეძლევათ მათგან წინად გაცემულ თანხაზე საავანსო ანგარიშების წარმოდგენამდე და ბუხჰალტერიის მხრივ ამ ანგარიშების არსებითად მიღებამდე.

4. ადგილი აქვს საქვეანგარიშო პირების მიერ მეორე საქვეანგაშირო პირებისათვის ხელწერილების ქვეშ თანხების გადაცემას (საქვეანგარიშო პირი ახვლედიანის მიერ გაცემულია საქვეანგარიშო პირ ბუჟუაშვილისათვის ხელწერილით 2.500 მანეთი, ბეჟუაშვილის მიერ სურმავაზე 1 000 მანეთი და სხვ.).

5. საქვეანგარიშო პირებისაგან ანგარიშების მიღების საქმისადმი უპასუხისმგებლო დაუდევარ დამოკიდებულებისა და ამ დარგში დადგენილ წესების უხეშად დარღვევის შედეგად ადგილი აქვს ყალბი ანგარიშების წარმოდგენისა და ერთდაიგივე ანგარიშების რამოდენიმეჯერ გატარების გზით სახელმწიფო თანხების მითვისებას და განიავებას (სამუშაოს მწარმოებელ ინჟენერ ცქიტიშვილს მითვისებული აქვს ყალბი ანგარიშების წარმოდგენით 6 141 მანეთი და სხვ.).

6. სარემონტო სამუშაოების ჩატარების საქმისათვის ინჟ. ცქიტიშვილის მიერ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად 1938 წლის განმავლობაში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოების შესრულების შემდეგ არ შემდგარა ტექნიკური აქტი.

7. სალაროს შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ კოჯრის ახალშენში ადგილი აქვს ხელწერილების ქვეშ ხელფასის ანგარიშში (2 962 მანეთი) და სხვა დანიშნულებისათვის გაუფორმებელ საბუთებით საგრძნობი თანხების გაცემას. აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1. კოჯრის ბავშვთა ახალშენის დირექტორი **ვ. ვადაჭკორია,** რომელმაც ვერ გაუწია ახალშენის სამეურნეო და ფინანსიურ დარგს საჭირო ხელმძღვანელობა განთავისუფლდეს სამუშაოდან.

2. კოჯრის ახალშენის ყოფ. მთ. ბუხჰალტერი ახრახაძის საქმე საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, საქვეანგარიშო თანხების არსებულ წესების

დაცვის გარეშე გაცემის დაშვებისა და ყალბი საბუთების გატარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო მითვისებებს, საბუხჰალტრო ანგარიშწარმოებაში ქაოტური მდგომარეობის შექმნას, ახალშენის ქონების ინვენტარიზაციის დირექტივების მიხედვით ჩაუტარებლობას და 1938 წლის არარეალური ბალანსის წარმოდგენისათვის გადაეცეს პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

3. სამუშაოთა მწარმოებელი ინჟ. დ. ცქიტიშვილის საქმე საავანსო ანგარიშებში ყალბი საბუთების წარმოდგენისათვის (მითვისებული აქვს აგურის გადმოსაზიდი ხარჯები — 4939 მან. უსწორო ანგარიშით — 200 მან., 5 000 ც. აგურის საფასური 650 მან. გაჯის საფასური 352 მან. სულ ჯამით— 6141 მან), სააღმშენებლო მასალათა აღრიცხვიანობის არევ-დარევისა და სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ტექნიკური აქტის შეუდგენლობისათვის გადაეცეს პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

4. საწყობის გამგე ზაკუტოვის და სამნეო ნაწილის ყოფ. გამგის შერმაზანაშვილის საქმე სააღმშენებლო მასალების აღრიცხვიანობის არევისათვის, რის გამო სააღმშენებლო-მასალის მიღება არ ეფარდება ფაქტიურ მდგომარეობას, აღრიცხვაზე მასალების ყალბი საბუთების მიხედვით აღებისა და ინჟ. ცქიტიშვილის მიერ თანხების მითვისებაზე ხელის შეწყობისათვის გადაეცეს პროკურატურას. საწყობის გამგე ზაკუტოვი მისი პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით მოიხსნას სამუშაოდან.

5. ხელფასის ანგარიშში თანხების გაცემაზე გაუფორმებელ და დაუმუშავებელ საბუთების დიდი რაოდენობით სალაროში დაგროვებაზე მიეთითოს ახალშენის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. თოდრაძეს.

6. წინადადება მიეცეს ახალშენის დირექციას სასწრაფოდ აღმოფხვრას აქტში აღნიშნული დეფექტები.

7. დაევალოს დირექციას გადასინჯვისაგან აღნიშნული ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან და კერძო პირებიდან უკანონოდ წარმოებული ჩამოწერები და მიიღოს გადამჭრელი ზომები დებიტორულ დავალიანების ლიკვიდაციისათვის. და უხეშ გადამხდელების საქმე გადაეცეს სასამართლო ორგანოებს.

8. სასწრაფოდ ჩატარდეს ახალშენის მთელი ქონების ინვენტარიზაცია და ფაქტიური მდგომარეობა შედარებული იქნეს ბუხჰალტერულ ჩანაწერებთან.

9. დაევალოს ახალშენის ბუხჰალტერიას დაუყოვნებლივ მოიყვანოს წესრიგში ანგარიშ-წარმოება და სიზუსტით დაიცვას არსებული კანონმდებლობა საკრედიტო რეფორმისა და სალაროს ოპერაციების წარმოების დარგში.

10. ვავალებ საგეგმო-საფინანსო და საბავშვო. სახლების და სპეცსკოლების სამმართველოებს დაამუშაონ და წარმოადგინონ არა უგვიანეს ა/წ 25 იანვრისა ახალშენში შემავალ საბავშვო სახლების საკუთარ ბალანსზე გადაყვანის შესაძლებლობანი დამოუკიდებელი დაწესებულების უფლებებით.

11. ვავალებ იურისკონსულტს თავისივე დასკვნით მთელი მასალები რევიზიის ირგვლივ გადასცეს პროკურატურას დამნაშავე პირების პასუხისგებაში მისაცემად.

12. ვავალებ შინაუწყებრივ კონტროლის უფროს რევიზორს ამხ. ნ. პაპავას არა უგვიანეს 1940 წლის 1-ლი თებერვლისა შეამოწმოს და მომახსენოს კოჯრის ახალშენში სამეურნეო მდგომარეობის მოწესრიგების და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
გ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 122

განათლების სახალხო კომისარიატი სადმი

1940 წლის 11 იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

გავეცანი რა კასპის რაიალმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ კასპის რაიონის სკოლებს, გასულ წელთან შედარებით, აქვს ერთგვარი მიღწევები, რაც გამოიხატა 1939/40 სასწ. წლის უკეთ მომზადებასა და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებაში, მაგრამ განათლების განყოფილების მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებანი ახასიათებს:

1. სკოლებში არ არის გეგმიანი მუშაობა. მთელ რიგ სკოლებში სასკოლო-საალმზრდელო გეგმები (კასპის, ქვ. გომის) ფორმალურ ხასიათს ატარებენ. მასწავლებლებს არ ეწევა ყოველდღიური კონტროლი და დახმარება ცალკეული საგნების სამუშაო გეგმების შესრულების საქმეში. განათლების განყოფილება არ ზრუნავს დააწესოს მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს სკოლებს სასწავლო-საალმზრდელო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში.

2. სკოლებში მეთოდური მუშაობა არ არის გარდაქმნილი განსახკომის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით. საგნობრივი, საკლასო მეთოდკომისიების და პედაგოგიური თათბირების მუშაობა სკოლებში არადამაკმაყოფილებელია.

კასპის საშუალო სკოლაში, ქუჩარუხის და ქვემო-გომის არასრულ საშუალო სკოლებში მეთოდმუშაობის საკითხები ფიქსირებულია პედსაბჭოს ოქმებში, მაგრამ მუშაობა სინამდვილეში არ სწარმოებს. განათლების განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო განსახკომის მიერ დამტკიცებულ მეთოდური მუშაობის შესახებ დებულების დაყვანა რაიონის ყველა სკოლამდე, რის შედეგადაც სკოლის დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები სათანადოდ არ არიან გარკვეულნი სკოლის მეთოდმუშაობის ამოცანებში.

3. ახალგაზრდა დამწყებ მასწავლებლებს არ ეწევა საჭირო დახმარება, მათთვის არ ეწყობა ღია გაკვეთილები, ისინი არ არიან მიმაგრებული გამოცდილ და დახელოვნებულ მასწავლებლებზე, არ არიან გაერთიანებული საგნობრივ და სასკოლო-მეთოდურ კომისიებში. მათთვის არ ეწყობა ლექციები და მოხსენებები ცალკეულ მეთოდურ და პედაგ. საკითხებზე, პედკაბინეტი არ ზრუნავს სკოლების მეთოდური ლიტერატურით მომარაგებაზე და სხვ.

4. განათლების განყოფილების და სკოლის ხელმძღვანელების მიერ არ არის საკმაოდ გაგებული პედსაბჭოს მუშაობის ამოცანები. ხშირ შემთხვევაში პედსაბჭოს სხდომები ატარებენ ფორმალურ ხასიათს. ინეთი აღნიშვნელოვანი სასკოლო საკითხები, როგორიც არის მეოთხედის სასწავლო-საალმზრდელო სამუშაო გეგმების შესრულების მიმდინარეობა, მეორეწლიანობის და აკადემიურად ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლა, მოსწავლეთა საშინაო დავალების ორგანიზაცია, შეგნებული დისციპლინის განმტკიცება სკოლაში, მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია და სხვა — პედსაბჭოს სხდომებზე არ არის განხილული.

5. პედკაბინეტის მუშაობა ჯერ კიდევ სუსტია და ვერ უწევს მეთოდურ დახმარებას სკოლებსა და მასწავლებლებს.

სოფლის მასწავლებლების დასწრება კონსულტაციებზე არადამაკმაყოფილებელია. მასწავლებელთათვის უბნებში არ ეწყობა ლექციები და მოხსენებები ცალკეულ პედა-

გოგიურ-მეთოდურ საკითხებზე. მასწავლებელთა საუბნო—მეთოდური თათბირების მუშაობა მივიწყებულია. არ წარმოებს მოწინავე სკოლის და მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადოება. სკოლებში ღია გაკვეთილების ჩატარება არასისტემატურ ხასიათს ატარებს.

6. კლასის ხელმძღვანელების მუშაობა მიმდინარეობს უგეგმოდ, რიგ შემთხვევაში მათი საალმზრდელო გეგმები მეტად ტრაფარეტულია (კასპის საშუალო სკოლაში—მე-5 და მე-7 კლ.).

სკოლის დირექტორების კონტროლი და დახმარება კლასის ხელმძღვანელების მუშაობაში სუსტია, ზოგ შემთხვევაში დახმარება სრულიადაც არ ჩანს. კლასის ხელმძღვანელები ნაკლებად იცნობენ თავის კლასის მოსწავლეებს და სუსტად იბრძვიან მაღალი წარმატებებისათვის.

7. არ არის გაშლილი მუშაობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებისათვის. მთელმა რიგმა სკოლებმა არც კი იციან განსახკომის კოლეგიის 1939 წ. 17 თებერვლის დადგენილება საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ (ქვ. გომის ა/ს საშ. სკოლა, კასპის საშ. სკოლა).

განათლების განყოფილება და სკოლის დირექტორები არ იბრძვიან სკოლის გარეთ დარჩენილ და სკოლიდან განთესილ მოსწავლეების სკოლაში დაბრუნებისათვის. განათ. განყოფილებას განსახკომის დადგენილება არ განუხილავს დირექტორების და გამგეების რაიონულ თათბირზე და არ მიუღია საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი. ასეთი უყურადღებობის შედეგად კასპის რაიონის გამორკვეულ 15 სკოლიდან—სკოლის გარეთ დატოვებულია 123 სასკოლო ასაკის ბავშვი.

8. მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. ცალკეულ სკოლის დირექტორებს და გამგეებს ჯერ კიდევ არ დაუსახავთ პრაქტიკული ღონისძიებანი მეორეწლიან და ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის გარდასაქმნელად. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ცირეკიძემ [illegible] იცის მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა რაიონში და არც სკოლის დირექტორები (გამგეები) იბრძვიან საკმაოდ ორწლიანობის ლიკვიდაციისათვის.

9. სკოლებში მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების მუშაობა ჩამორჩენილია (კასპის, ქეჩარუხის, წ/ქალაქის, ქვ. გომის და სხვ.) სკოლის დირექტორები (გამგეები), სასწავლო ნაწილის გამგეები საკმაოდ ვერ ერკვევიან სასკოლო ორგანიზაციების მუშაობის ამოცანებში.

10. ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. ადგილი აქვს დაგვიანების და დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს (მასწავლებლისათვის ხელის შეშლას, ფანჯრებიდან გადმოხტომას—კასპის საშ. სკოლა). განათლების განყოფილება და სკოლის დირექტორები (გამგეები) ყურადღების გარეშე სტოვებენ ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარების საქმეს და თავიდანვე არ მიმართავენ სათანადო საალმზრდელო ზომებს.

11. კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია არ არის მოწესრიგებული, მიუხედავად იმისა, რომ კასპის რაიონის სკოლები გასულ წელთან შედარებით უკეთ არის მომარაგებული სათანადო ლიტერატურით; არ წარმოებს წაკითხული წიგნების გარშემო საუბრები, მასწავლებლები არ ხელმძღვანელობენ მოსწავლეთათვის წასაკითხავ წიგნების შერჩევას, წიგნები არაა სათანადოდ მოვლილი და დაცული (კასპის სკოლა). განსახკომის ბრძანება № 5910—სკოლაში კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ არ არის განხილული სკოლებში და არ არის დასახული საჭირო ღონისძიებანი მუშაობის გასაჯანსაღებლად. განათ. განყოფილებას აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად თითქმის არაფერი გაუკეთებია.

12. განათ. განყ. მიერ არ არის განხილული ინსტრუქცია სრ. საკ. სასოფლო სამ. გამოფენის მონაწილეთა დამტკიცების წესისა და გამოფენაზე მონაწილეობის პირობების შესახებ და ბრძანება № 5615—უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ პედაგოგიურ განყოფილებების 1938/39 სასწ. წლის შედეგებისა და 1939/40 სასწ. წლის ამოცანების შესახებ.

სასწავლო წლის 1 მეოთხედის შედეგები კასპის რაიონიდან 23 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ არ იყო გადმოგზავნილი განსახკომში.

რიგი სკოლის დირექტორებს (გამგეებს) ახასიათებს უპასუხისმგებლობა და უდისციპლინობა განსახკომის და განათ. განყოფილების დავალებათა დროულად შესრულების საქმეში. აღნიშნული რაიონის სკოლებიდან მიღებულ მოსწავლეთა 1 მეოთხედის აკადემიური წარმატების საღრიცხვო ფურცელში დაშვებულია უხეში შეცდომები. არც ერთ სკოლას (ხოვლეს, ქვ. სასირეთის, წ. ქალაქის გამოკლებით) არ აქვს წარმოდგენილი წერილობითი მოხსენება განსახკომის მოთხოვნილების მიხედვით.

განათ. განყოფილება განსახკომიდან გადაგზავნილ კორესპონდენციებზე და სხვა მიმართვებზე ძალზე დაგვიანებით გზავნის პასუხებს, და ზოგ შემთხვევაში კი პასუხს სრულიადაც არ გზავნის. მაგალითად, გაზ. „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა მოზრდილთა სკოლის სამმართველოს ინსპექტორს და აღმასკომის თავ-რეს ლამისყანის საშუალო სკოლაში გაკვეთილის მსვლელობის პროცესის დარღვევის შესახებ, მიღებულია 8/III—პასუხი კი გაცემულია 7/II.

განცხადება ბატკანიშვილის შესახებ განათ. განყოფილებამ მიიღო 14/10—პასუხი კი 30/II არ იყო გაცემული.

მასწ. ქობულიას შესახებ კორესპონდენცია განათ. განყოფილებამ მიიღო 30/10—პასუხი გადმოგზავნილი იყო 15/12.

აღნიშნულისა გამო ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილების გამგემ და სასკოლო ინსპექტორებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლებში [illegible] საალმზრდელო გეგმით გათვალისწინებულ საკითხების დაწესებულ ვადებში შესრულებაზე და მიაღწიონ იმას, რომ სკოლებში გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს ასრულებდნენ მაღალ ხარისხიანად.

2. 1940 წ. იანვრამდე განხილულ იქნას ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომებზე განსახკომის მიერ დამტკიცებული დებულება, სკოლაში მეთოდური მუშაობისა და მასწავლებელთა საუბნო - მეთოდური თათბირების შესახებ, რის საფუძველზე გაძლიერდეს მუშაობა სკოლებში. სასკოლო ინსპექტორებმა და დირექტორებმა (გამგეებმა) მასწავლებლებს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება მეთოდური მუშაობის სწორად დაყენების საქმეში.

3. დაწესდეს მტკიცე კონტროლი მასწავლებლებზე გაკვეთილების მაღალხარისხოვნად ჩატარებისა, რისთვისაც განათ. განყოფილებამ მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ სისტემატურად ხდებოდეს მასწავლებლის და კლასის ხელმძღვანელის მუშაობის შემოწმება.

4. ღია გაკვეთილების მოწყობით, დამწყებ მასწავლებელთა გამოცდილ მასწავლებლებთან მიმაგრებით, მათი საგნობრივი და საკლასო მეთოდურ კომისიებში გაერთიანებით, პედკაბინეტიდან მეთოდური ლიტერატურის მოწოდებით განათ. განყოფილებამ უზრუნველჰყოს დამწყებ მასწავლებლებზე დახმარების გაძლიერება.

5. განათლების განყოფილებამ დეკადის ვადაში დააზუსტოს მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა რაიონში და ამთავითვე დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მათთან მუშაობის გასაძლიერებლად. სკოლის დირექტორებმა, კლასის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა გააძლიერონ მეთვალყურეობა მათზე და უზრუნველჰყონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა.

6. სკოლებში პედსაბჭოების მუშაობა გარდაქმნან იმგვარად, რომ სხდომებ-

90-133

ზე სისტემატურად იხილვებოდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები და სახავდენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მუშაობის გასაძლიერებლად.

7. განათლების განყოფილებამ და სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) 1940 წ. 15 იანვრამდე უზრუნველჰყონ სკოლის გარედ დარჩენილ და სკოლიდან განთესილ სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლებში ჩაბმა და მათთან მუშაობის გაშლა.

8. განათლების განყოფილებამ ამთავითვე მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის; აღმოფხვრილ იქნას უმიზეზოდ დაგვიანებაგაცდენების შემთხვევები და ხულიგნური გამოვლინებანი; მოსწავლეებზე მეთვალყურეობის გაძლიერების მიზნით გაიშალოს მუშაობა მოსწავლეთა მშობლებს შორის და სხვა.

9. ზემდგომ ორგანოების და განსახკომის კოლეგიის დადგენილების განხილვა სასკოლო მუშაობის საკითხებზე ხდებოდეს დაწესებულ დროში პედსაბჭოს სხდომაზე და მასწავლებელთა თათბირებზე. — უახლოეს პედსაბჭოს სხდომაზე განხილულ იქნას განსახკომის ბრძანებები № № 5910, 5615, 6007—საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების, სკოლებში კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უმაღლეს სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებათა მუშაობის, მეორე კლასში ისტორიის სწავლების შესახებ და ამთავითვე დასახულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გარდასაქმნელად.

10. კასპის რაიაღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. **გრ. ცირეკიძე**, რომელმაც თავი ვერ გაართვა მუშაობას, ვერ უზრუნველჰყო სკოლებზე ხელმძღვანელობა, განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან.

11. განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე დამტკიცდეს ამხ. **დონაძე.**

12. ლამისყანის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ოთარიშვილს, გომის ა/ს საშ. სკ. დირექტორს ქ. ოსიპაშვილს, კოდის წყაროს ა ს. საშ. სკ. დირექტორს ვასო ოთარიშვილს, სალომეს დ/სკოლის გამგეს ს. ბუაძეს და ილეთის დ/სკ. გამგეს ელენე ოქრუაშვილს, რომლებმაც არ შეასრულეს განსახკომის და გან. განყოფილების დავალებები,—გამოგზავნეს შეუმოწმებელი და უპასუხისმგებლოდ შედგენილი მასალები და დაგვიანებით წარმოადგინეს სასწავლო წლის I მეოთხედის შედეგები, მიეცეთ გაფრთხილება. განემარტოს სკოლის დირექტორებს (გამგეებს), რომ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ზემდგომ ორგანოების დადგენილებათა შესრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებულ იქნება უფრო მკაცრი ორგანიზაციული ზომები.

საქ. სსრ განათლ. სახ. კომისარი ბ. კიკნაძე

პ/მგ რედაქტორი ბ. კიზირია — პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/I – 40 წ. — ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-1940
მთავლიტის რწმუნებულის 1786 — შეკვეთა № 217 — ტირაჟი – 5.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ. № 36.